

სს „სტადიუმ ჰოტელ“

**2018 წლის სპეციალური დანიშნულების
ფინანსური ანგარიშგება**

სს "სტადიუმ ჰოტელ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	1 379 692	2 620 394
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	5 101 932	399 333
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	3 047 067	132 169
სულ მიმდინარე აქტივები		9 528 691	3 151 895
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		-	-
ძირითადი საშუალებები	6	10 280 145	6 657 991
არამატერიალური აქტივები		2 048	910
სხვა გრძელვადიანი აქტივები		329	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		10 282 521	6 658 901
სულ აქტივები		19 811 212	9 810 796
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	9	85 898	-
სავაჭრო ვალდებულებები	7	802 347	226 992
გადასახდელი პროცენტი	8	38 450	1 767
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	10	(742 580)	(197 776)
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		254	5 605
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		184 370	36 588
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	9	6 210 877	-
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებები		-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6 210 877	-
სულ ვალდებულებები		6 395 247	36 588
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი		-	-
სააქციო კაპიტალი		14 380 044	9 661 788
საემისიო კაპიტალი		231 467	149 000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(1 195 546)	(36 580)
სულ საკუთარი კაპიტალი		13 415 965	9 774 208
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		19 811 212	9 810 796

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 04.12.2019 წ.

დირექტორი _____ /დ. გელბახიანი/

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი




სს "სტადიუმ ჰოტელ"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018
ამონაგები	11	93 704
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(100 722)
საერთო მოგება		(7 017)
სხვა შემოსავალი		-
კომერციული დანახარჯები		-
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(375 434)
სხვა ხარჯები		-
დადებითი საკურსო სხვაობა		143 423
ფინანსური შემოსავალი	12	18 070
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(458 163)
ფინანსური დანახარჯები	14	(479 844)
მოგება დაბეგვრამდე		(1 158 965)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მიმდინარე წლის მოგება		(1 158 965)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 04.12.2019 წ.

დირექტორი  /დ. გელაბაშიანი/

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი




სს "სტადიუმ ჰოტელ"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18913
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები	-
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(109003)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(138026)
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(-)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(-)
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(-)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(123542)
გადახდილი მოგების გადასახადი	(-)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(142639)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	-494297
ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(11331939)
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	7650
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	(-)
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	-
მიღებული პროცენტები	14616
მიღებული დივიდენდები	-
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	-
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-11309673
ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:	
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან	4800723
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	(-)
სესხების აღება	5979464
სესხების დაფარვა	(-)
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	(-)
გადახდილი პროცენტები	(188877)
გადახდილი დივიდენდები	(-)
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	(-)
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	10591310
ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	-28042
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-1240702
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	2620394
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1379692

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 04.12.2019 წ.

დირექტორი  /დ. გელბახიანი/

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი




სს "სტადიუმ ჰოტელ"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	9 661 788	149 000	(36 580)	-	9 774 208
მესაკუთრეთა შენატანი კაპიტალში	4 718 256	82 467			4 800 723
სხვა ცვლილება					-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-		(1 158 965)	-	(1 158 965)
დივიდენდის განაწილება					-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	14 380 044	231 467	(1 195 545)	-	13 415 966

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 04.12.2019 წ.

დირექტორი  /დ. გელბახიანი/

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი



**2018 წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. სს „სტადიუმ ჰოტელ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 13 მარტს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 402047236, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N178. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	წილის მოცულობა
შპს ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტ	66.68%
Gulyansky Michael	33.32%

1.3. კომპანიის დირექტორია ბ-ნ დავით გელბახიანი (პ/ნ 01008020328).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისების გაწევა. ის გაწევრიანებულია ACCOR S.A.-ის “IBIS”-ის ბრენდის სასტუმროთა ქსელში. 2018 წლის განმავლობაში კომპანია ACCOR S.A.-ის კონსულტაციით აქტიურად ახორციელებდა სასტუმრო შენობის მშენებლობას. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდა შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძველი თბილისის რ-ნი, დ. აღმაშენებლის გამზ. N 178.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2018 წელს შეადგენდა 25 კაცს.

1.7. საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის (მომსახურების) უკან დაბრუნება (გაუქმება) და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა, აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა, რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან,

რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის

თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში ან სხვა აქტივის ღირებულებაში, მაგ. მარაგი ან ძირითადი საშვალეა. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი, ხოლო მარაგის სხვა აქტივზე მიკუთვნებისას მისი საბალანსო ღირებულება ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. მარაგების ჩამოწრა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-8 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

იჯარა

იჯარები საოპერაციოა და იჯარით აღებული აქტივები არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარებულია მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის პირობების შესაბამისად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯი

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არ კაპიტალიზდება, იგი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად როდესაც ეს დანახარჯები იქნა გაწეული.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	2018	2017
ნაღდი ფული ლარებში	-	-
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	4 336	26 215
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	1 375 356	2 594 179
სულ	1 379 692	2 620 394

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	95 092	3 205
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	4 617 274	54 749
შეზღუდული ფულადი სახსრები	389 566	341 378
სულ	5 101 932	399 333

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირების მიმართ.

სს "თიბისი ბანკთან" გაფორმებული საბანკო გარანტიის ხელშერკულების საფუძველზე კომპანიას შეზღუდული აქვს ფულადი სახსრებით სარგებლობა, რომელიც ბალანსში ასახულია "შეზღუდული ფულადი სახსრები"-ს მუხლში.

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

	2018	2017
ნედლეული და მასალები	145 556	38 451
საწვავ-საცხები მასალები	176	121
სხვა მარაგები	2 901 334	93 597
სულ	3 047 067	132 169

31.12.2018 წ. მდგომარეობით არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ძირითადად შედგება სამშენებლო მასალებისა და სასტუმროს ინვენტარისაგან.

6. ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი, სპეციალური ინსტრუმენტები და ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ელექტრონული სისტემები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	2 000 228	1 725 120	2 900 000		11 805	2 685	21 699	309	6 661 846
შემოსვლა		3 532 661		74 614		2 683	39 130	1 043	3 650 131
გასვლა					(8 644)		-	-	(8 644)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	2 000 228	5 257 780	2 900 000	74 614	3 161	5 368	60 829	1 352	10 303 333
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	(1 055)	(241)	(2 532)	(27)	(3 855)
ცვეთის ხარჯი	-	-		(11 342)	(632)	(468)	(7 601)	(154)	(20 197)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა					864				864
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(11 342)	(823)	(710)	(10 132)	(181)	(23 188)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	2 000 228	1 725 120	2 900 000	-	10 750	2 443	19 167	282	6 657 991
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	2 000 228	5 257 780	2 900 000	63 273	2 338	4 658	50 697	1 170	10 280 145

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 23188 ლარი;

2017 წლის ბოლოს -3855 ლარი.

7. სავაჭრო ვალდებულებები:

	2018	2017
მიწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	801 208	226 171
მიღებული ავანსები	318	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	821	821
სულ	802 347	226 992

არარეზიდენტი კომპანიების მიმართ არსებული ვალდებულებები პერიოდების შესაბამისად შემდეგია:

2018 წლის ბოლოს - 64108 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 23150 ლარი.

8. გადასახდელი პროცენტი:

	31.12.2018	01.01.2018
საბანკო გარანტიის საპროცენტი	4 767	1 767
სესხის პროცენტი	33 683	-
სულ	38 450	1 767

9. სასესხო ვალდებულებები:

სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
					31.12.2018	31.12.2018	01.01.2018	01.01.2018
სს "თიბისი ბანკი"	7%	ევრო	04.05.2018	04.05.2024	85 898	6 210 877	-	-
სულ					85 898	6 210 877	-	-

10. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები:

	31.12.2018	01.01.2018
დღგ	(449 245)	(36 006)
საშემოსავლო გადასახადი	20 306	22 708
არარეზიდენტი პირის გადასახადი	10 308	3 883
ქონების გადასახადი	43 658	22 914
იმპორტის გადასახადი	775	-
ერთიანი სახაზინო ანგარიში	(368 382)	(211 276)
სულ	(742 580)	(197 776)

11. ამონაგები საქონლის მიწოდებიდან/მომსახურების გაწევიდან.

	2018
საქონლის რეალიზაცია	78 908
მომსახურების რეალიზაცია	14 796
სულ	93 704

12. ფინანსური შემოსავალი.

	2018
საპროცენტო შემოსავალი	(14 616)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(3 454)
სულ	(18 070)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018
შრომის ანაზღაურება	142 526
საკანცელარიო ხარჯი	86
კომუნიკაციის ხარჯები	53
ბუღალტრული მომსახურება და სხვა საკონსულტაციო	16 002
ძირითადი საშუალების ცვეთა	4 265
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	23
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	66 643
საბანკო ხარჯები	60 019
კონვერტაციის ხარჯი	77 879
საწვავის ხარჯი	169
ავტომანქანების რემონტის ხარჯები	2 206
წარმომადგენლობითი ხარჯი	229
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	5 333
სულ	375 434

14. ფინანსური დანახარჯები

	2018
საპროცენტო ხარჯი	225 560
არასაოპერაციო ზარალი ძს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	1 297
საგადასახადო საურავი	759
ადმინისტრაციული ჯარიმის ხარჯი	212
სახელშეკრულებო ჯარიმები და პირგასამტეხლო	251 905
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	111
სულ	479 844

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

დირექტორი/პარტნიორი	ტრანზაქციის დირეზულეზა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(111 651)	-
გაცემული სესხი	-	-
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	-	-
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია	-	-
სულ	(111 651)	-

განხორციელებული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარესთან

დაკავშირებული	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	(131 670)	11 832
აღებული სესხი	-	-
გაცემული სესხი	-	-
საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცი	23 130	-
სულ	(108 540)	11 832

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპლური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს ბრძანებით ექსპლუატაციაში შევიდა სასტუმროს შენობა, რომელშიც განთავსებულია 150 ნომერი.

- 2019 წლის 23 ნოემბერს სასტუმრობ დაიწყო სრულფასოვანი ფუნქციონირება.

3.17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 04 დეკემბერს.